ყოფნა გიბოძათ. ალბათ ეს რჩეულთა ხვედრია.

ქალბატონო ნათელა, თქვენ ძალიან ახალგაზრდას ღმერთმა დაგაკისრათ ხვალინდელი დღის შექმნა, თქვენ მუდამ ცდილობდით დედათაგან დედად გახდომოდით თქვენს მოსწავლეებს, თბილი, უსათუთესი სიყვარული გამოგეჩინათ მათ მიმართ, მიუხედავად თქვენი პირადი ცხოვრების ტკბილ-მწარე დღეებისა, ცდილობდით და გამოგდიოდაც კიდეც!

## ნიჭი მომადლებული სიყვარულისა

დღეს თქვენი დღეა ქალბატონო ნათელა! ღვაწლმოსილო პედაგოგო, მასწავლებელთა მასწავლებელო. ზუსტად თქვენ გეკუთვნით პოეტის ულამაზესი სიტყვები– „მასწავლებელო, თქვენ ისე კარგი, ისე ლამაზი სახელი გქვია!“

გვინდა მთელი არსებით, უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად მხცოვან ადამიანს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, ღირსების ორდენის კავალერს, ხამისქურის საჯარო სკოლაში ნახევარსაუკუნეზე მეტი მოღვაწეობის მქონე ადამიანს, პენსიონერს მოგილოცოთ მასწავლებელთა დღე! შესანიშნავო ფილოლოგო, კარგო მოკალმევ, ლამაზო ქალბატონო გვინდა დიდხანს, კიდევ დიდხანს იყოთ თქვენს მონაგართან ერთად.

ღმერთმა თქვენ წლები, წლები სკოლასთან, უსაყვარლეს ადამიანებთან

თქვენი ცხოვრების კრედო ყოველთვის იყო გაბრიელა მისტრალის მასწავლებლის ლოცვა-ვედრება უფლისადმი: „ყოველ დილით როცა ჩემი სკოლის კარებს შევაღებ, შენ შემაძლებინე დავივიწყო ჭრილობები მკერდზე რომ მატყვია, შემაძლებინე, რომ სამუშაო მაგიდასთან არ მიმყვეს ჩემი სადღეხვალიო საზრუნავი, გაუთავებელი წვრილმანი სატკივარი“.

ქალბატონო ნათელა, თქვენთან ერთად ამ ლამაზ დღესასწაულს–მასწავლებლის დღეს ვულოცავთ ყველა თაობის მასწავლებელს!

დიდხანს სიცოცხლეს, წელთა სრბოლას, მოზარდი თაობის აღზრდაში თითოეულს ბედნიერ, ლამაზ დღეებს ვუსურვებთ.

***ნანი კილასონია,***
***მერი ლაგვილავა.***

## დიდებული მოძღვარი

მას წარდგენა არ სჭირდება... უბრალოდ, ისეთ მნიშვნელოვან დღეს, რომელიც „მასწავლებლის დღედ“ იწოდება, გვინდა ერთხელ კიდევ მოვეფეროთ, მოვესიყვარულოთ და გავიხსენოთ მისი უცაბედად ნათქვამი „მე ძალას მაძლევს სიყვარული“.

მასწავლებელთა სახელოვანი კოჰორტის ერთი თავდადებული და „თავაუწყეველი“ პიროვნებაა ბატონი ალექსანდრე (საშა) არჩაია. არ მქონდა ბედნიერება მისი „მერხის მოსწავლე“ ვყოფილიყავი, (ნუ მიწყენენ ქვალონის №1 საშუალო სკოლის ჩემი სულმნათი პედაგოგები), მაგრამ მის მოსწავლედ ბარე 40 წელიწადია თავს ვთვლი... მისგან ყოველდღე სწავლობ... მასთან საუბრისას ხშირად ფიქრობ, შენ ხომ ეს უკვე იცოდი, მაგრამ რა ხდება, ის მაინც სხვაგვარად ამბობს, სხვაგვარად იქცევა“ სიამოვნებით და სიამაყით ივსები, რადგან ის მეგობრად გთვლის, ხშირად გეხმიანება და „ცხელ ცხელი“ ამბებით განებივრებს.

–ჩემმა მშობლებმა მარიამ ქვილითაიამ და კონდრატე არჩაიამ 6 შვილი გაგვზარდეს, აკადემიური განათლება მიგვაღებინეს, ადამიანური ურთიერთობები და კაცთმოყვარეობა დაგვანათლეს. უფალმა გადმომხედა, ცხოვრების მეგზურად კეთილმოყვარე, გულიანი ოჯახის ქალი, პედაგოგი ეთერ ესაკია რომ მომივლინა. ჩვენ 4 შვილი გავზარდეთ და 8 შვილიშვილი გვიხალისებს ავკარგიან სიცოცხლესო,–მითხრა ბატონმა საშამ, არადა სახალისოდ და საამაყოდ გავლილი ცხოვრების ნათელი გზა იმდენად დატვირთულია, გასავლელად მრავალი ადამიანი იკმარებდა.



მკითხველს არ დავლილი, რადგან თავად იცის მისი ვინაობა, ყველა თავყრილობაზე ანგარიშგასაწევი, გამორჩეული პეწითა და სალმით იცნობს მას... არც მას მინდა ვაწყენინო (საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს) და მისი ცხოვრების რამდენიმე შტრიხს გავიხსენებ მხოლოდ:

საშა არჩაია: მათემატიკოსი, „განათლების წარჩინებული“, 30 წელიწადი ხობის №2 საშუალო სკოლის დირექტორი, ორტომეულის „ყველაფერი ათწილადებსა და პროცენტებზე“ ავტორი, (მეორე ტომი ჩაშვებულია დასაბეჭდად). ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, ხობის „საპატიო მოქალაქე“ სხვა ეპითეტი სჭირდება კი ადამიანს ერთი სიცოცხლისთვის?

მინდოდა მიმელოცა ეს ლამაზი დღე მისთვის ისევე უბრალოდ და დიდბულოვნად, როგორც თავად განვლო ცხოვრების ლამაზი დღეები.

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე ბატონო ალექსანდრე, დიდებულო მოძღვარო!

თქვენი დიდებულება თქვენი ხალხის სიყვარულშია.

***მერი ლაგვილავა***

## კაცი სახვლიანი



დიდი ხანია არ მენახა. ამასწინათ რედაქციაში გვესტუმრა. ყველა გაგვახარა მისმა სტუმრობამ. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, მხნედ და ენერგიულად გამოიყურებოდა. ხუმრობით ვუთხარი, ბატონო ჯოდო, ახალგაზრდულად გამოიყურებით მეთქი. როგორც ჩვევია „ბუბუნა“ ხმით და თვალის ბრიალით მითხრა–ისეთი პროფესია მაქვს, რა დამაბერებსო. ბევრი ვისაუბრეთ, ძველი ამბები გავიხსენეთ. მალე 85 წლის გავხდები და იუბილეზე აუცილებლად მოგიწვევო. მეც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი.

ბატონი ჯოდო კოხია დაიბადა 1933 წელს სოფელ საჯიჯაოში. 1953 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1959 წელს ქიმია ბიოლოგიის სპეციალობით.

ახალგაზრდა მასწავლებელი განაწილებულიქნა სოფელ ძველი ხიბულის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ მუშაობას იწყებს საჯიჯაოს საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად და საწარმოო სწავლების დარგში დირექტორის მოადგილედ.

როგორც ახალგაზრდა და პერსპექტიული მასწავლებელი, აწინაურებენ და გადაჰყავთ საჯიჯაოს სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორად. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბატონი ჯოდო კოხია ინიშნება გალმა საჯიჯაოს საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც თითქმის ოცდათუთხმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლას. დღეს კი ამავე სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებელია.

ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა ბატონი ჯოდოს ხელმძღვანელობით. აშენდა სკოლის ახალი ტიპიური შენობა. მოწყობილიქნა კლას-კაბინეტები. მის სკოლაში გაკეთებული „გეოგრაფიის ველი“ რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ჩვენი „ბერმუხა“, თავის პროფესიაზე შეყვარებული, პატიოსანი, გულკეთილი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, საუკეთესო ხელმძღვანელი, პურმარილიანი და მომლხენი. მასწავლებელთა მასწავლებელი–ასეთი ეპითეტებით ამკობენ მას კოლეგები.

ჩემს შეკითხვაზე, არ „მოგბეზრდა“ ამდენი წელი სკოლაში მეთქი, გაცეცხლდა, ტონს აუწია, მერე მიხვდა ჩემს ხუმრობას და მშვიდი ხმით მითხრა, სანამ ცოცხალი ვარ, სკოლას ვერ მოვეშვებიო. 15 სექტემბერი ბავშვივით მიხარიაო. ვერ გაამტყუნებ ბატონ ჯოდოს, ხუმრობა ხომ არ არის თითქმის ექვსი ათეული წელი ერთი და იგივე, თანაც უკეთილშობილეს საქმეს ემსახურო, რომელსაც ახალგაზრდობის აღზრდის საქმე ჰქვია.

ბედნიერი კაცია ბატონი ჯოდო კოხია თავისი დიდი ოჯახით, შესანიშნავი მეუღლესთან ქალბატონ თინა სახურიასთან ერთად. სამი შვილის და შვიდი შვილიშვილის ბაბუაა, ხარობს თავისი დიდი მონაგარით...

მის შრომას და გარჯას განათლების სისტემაში უკვალოდ არ ჩაუვლია, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მადლობა, ქების სიგელი. 2015 წელს კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გადაეცა სერთიფიკატი და მიენიჭა „პრაქტიკოსი მასწავლებლის“ წოდება.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლეთ და იმოღვაწეთ ჩვენი ერის სადიდებლად!

ბატონო ჯოდო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და მასწავლებლის დღეს.

მე კი როგორც შეგპირდით, აუცილებლად გეწვევით თქვენს იუბილეზე.

***ბეჟან ნადარაია.***

## გვწერენ

### მასწავლებელი-მუდამ უბერებელი

მინდა მასწავლებელთა დღე მივულოცო ყველას, ვისაც მასწავლებელი ჰქვია. ვუსრვო მათ დღეგრძელობა.

ნუ მიწყენს მანდილოსანი მასწავლებლები, მინდა ცალკე გამოვყო სკოლის ორი პედაგოგი, როინ ფაჩულია და თამაზ ბედია. მათგან ვიღებთ მამობრივ მზრუნველობას, პედაგოგიურ რჩევა-დარიგებას. რა გვეთქმის მათ მიმართ მოკრძალების, სიყვარულისა და ყურადღების გარდა.

ჩემი ჰობი და ოცნებაა ჟურნალისტობა, ვიყო ბეჯითი, მონდომებული, თამამი და სხარტი, ვიკითხო ბევრი კლასგარეშე ლიტერატურა. ოჯახშიც არის საჭირო თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც მუდამ გამომადგება.

გპირდებით ჩემო მასწავლებლებო, ოცნების ახდენისას პირველი რესპოდენტი იყოთ ჩემი სკოლის მასწავლებლები, თუნდაც სტუდენტობის პერიოდში.

მასწავლებელო! თქვენი ასაკიც და ჭაღარაც უფრო საყვარელია, თქვენ არასდროს უნდა დაბერდეთ.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ნინო ფაჩულია,**
***ზემო ქვალონის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე.***

# 5 ოქტომბერი—მასწავლებლის დღე!

## მარადდაუვიწყარნი...

გაზეთის ნომრის მზადებისას, რომელიც მასწავლებელთა დღეს უნდა მიძღვნოდა, ჩემმა კოლეგებმა ქალბატონებმა მერი ლაგვილავამ და ნანი კილასონიამ მითხრეს,—ვიცით რომ რამდენიმე სკოლაში გიმუშავნია, შენს არქივში ჩანაწერებიც გექნება, ძველი ფოტოსურათებიც. კარგად გადაათვალიერე, მოიგონე და კიდევ ერთხელ პატივი მიაგე ძველი კოლეგების სულებსო. მათი რჩევა ჭკუაში დამიჯდა. თუმცა გარკვეული დრო დამჭირდა ამისთვის. ადვილი არ არის 2500 წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებში ძიება, მაგრამ ამ „წვრილმან“ საქაღალდეებშიც იმდენი რამ მოვიძიე, მას გაზეთის ფორმატი ვერც დაიტევდა... როცა გავაცანი კოლეგებს ჩემი აზრი, ქალბატონმა მერიმ მითხრა, ჯერ შენთვის ადრეა მემუარების წერა, მაგრამ თუ გადაწყვეტ მათ გამოქვეყნებას წიგნის სათაურს მე შეგირჩევ—„გადანახული ფიქრები“ დაარქვიო. ეს მომავლის საკითხია, დღეს კი ჩემგან წასული კოლეგები, პედაგოგები, საინტერესო ადამიანები მინდა მოვიგონო და მკითხველს, რომელთაც ჩემსავით ენატრებათ ისინი, ცოტა რამ მოვუყვე მათზე.

აფხაზეთის მოვლენების შემდეგ ჩემს მშობლიურ ხობში მომიწია დაბრუნება. ერთ დღეს მაშინდელმა რაიონის ხელმძღვანელობამ დამიბარა და კატეგორიულად მითხრეს, ჯაპიშაქრის სკოლაში დირექტორად უნდა წახვიდეო. დაიბარეს მაშინდელი განათლების განყოფილების გამგე ქალბატონი რალა ჩემია (დიდხანს სიცოცხლე მას) და იმ დღესვე დავინიშნე დირექტორად. რაიონის დირექტორთა თათბირზე როცა წარმადგინა ქალბატონმა რალამ, მართალი გითხრათ, შიშმა შემიპყრო, ისეთი ცნობილი, გამოცდილი და დამსახურებული სკოლის დირექტორები შემომცქეროდნენ თვალებში, მაგრამ თათბირის დამთავრებისთანავე, შიში გაქრა, თითოეულმა მათგანმა მომილოცა და გამამხნევა. აი ისინიც: კარლო ვარდია, ინდიკო შამათავა, ციალა პერტაია, კარლო ბუკია, შალვა ხარებავა, სერგო ლაშხია (დღეს არცერთი არ არის ცოცხალი). უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სულები. ასევე დიდი სიყვარული დამიდასტურეს მეთოდკაბინეტის თანამშრომლებმა ცნობილმა ანტონ გოგიამ, ალექსანდრა ბერაიამ, თამარ ჩაგვავამ, მაია კვარაცხელიამ, ჯემალ ბიბილეიშვილმა. ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას.

* **

ჯაპიშაქრის საშუალო სკოლას დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც ვიცი, XX საუკუნის 40 წლებში მისი დამაარსებელი დამსახურებული მასწავლებელი მამანტი ნადარაია ყოფილა. ასე, რომ ამ სკოლაში მომიწია დირექტორობა. აქ დამხვდნენ როგორც ძველი თაობის მასწავლებლები, ისე ახალგაზრდები. რა ჯობდა მათთან საუბარს გაკვეთილების შემდეგ. გარეთ ჭის სიახლოვეს მდგარ უზარმაზარ რცხილის ხესთან ჩამოვჯდებოდით და მილეთის ამბებს იხსენებდნენ.

გიორგი (ჟორჟი) ნადარაია—ისტორიის მასწავლებელი—განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო.

საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა. იხსენებდა „ზუგდიდში ვარო, მასწავლებელთა კონფერენცია ტარდება. შალვა დადიანის თეატრში. შორიდან დავინახე ჩოხააბალუხში გამოწყობილი კიწი გეგეჭკორი (ლოტბარი და მომღერალი), გაჩერდა, იკითხა, რა ხდება აქ რამდენი ხალხია შეკრებილიო. იქვე ახლოს მდგომმა უპასუხა, ბატონო კიწი, მასწავლებელთა კონფერენცია ტარდებაო. მან მოსწრებულად უპასუხა—არ გამიკვირდა, ხალხი ბევრია და მანქანები კი არ დგასო“.

ჟორჟი მასწავლებელი ომის მონაწილე იყო, ბევრი ჭირის მნახველი, მაგრამ ძალიან ოპტიმისტი. ახლა კი გვიჭირს, მაგრამ დაიმახსოვრეთ, საქართველოს კარგი მომავალი აუცილებლად ექნებაო,—იტყოდა ხშირად.

ლევან კილასონია—ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებელი. პეწიანი, მოწესრიგებული, გულთბილი ადამიანი. ზნეობის და სინდისის მეტრი. ბავშვებზე და სკოლაზე ზედმეტად შეყვარებული. თვითონ ოჯახის არმქონეს, საოცარი და არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვებთან. მასთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაკავშირებდა.

ეთერ ჯობავა—ფიზიკას ასწავლიდა. კეთილი, თავისი საგნის არაჩვეულებრივი სპეციალისტი. ჭირსა და ლხინში მხარში ამომდგომი. მუდამ მოფუსფუსე, როგორც სკოლაში, ისე ოჯახში, არაჩვეულებრივი შვილების დედა.

დავით (დათიკო) ახალაია—ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მკაცრი და მომთხოვნი, არაჩვეულებრივი, საინტერესო ამბების მთხრობელი, მუდამ საქეიფო განწყობა ჰქონდა, იგი მასწავლებელთა დიდი ოჯახიდან იყო. თუ არ ვცდები, 18 პედაგოგი აღზარდა ამ ოჯახმა.

დაწყებით კლასებს ასწავლიდნენ: ნუცა ნაკაშია-ნადარაია, თამარ კვარაცხელია, გოგოლა ახალაია. სამივე ერთი თაობისანი იყვნენ. დედაშვილური დამოკიდებულება ჰქონდათ.

ნუცა ნაკაშიას საფლავის ქვაზე სურათთან ერთად „დედაენის“ წიგნიცაა გამოსახული, რომელიც საოცარი სანახავია, მრავლისმეტყველი.

ვინ იცის მათ რამდენი ბავშვი უზიარებიათ „დედა ენასთან“. თითქმის ექვსი ათეული წელი გაატარეს სკოლაში. ნათელი დაადგეთ მათ სულებს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ტექპერსონალი ონისიმე თირქია. სკოლის ეზოდან ქვა რომ ქვა იყო, იმასაც არავის მისცემდა. უზომოდ შეყვარებული სკოლაზე,

ვარდო შამათავა, ნორა შამათავა, ვალოდია შამათავა—მათი დამსახურებით სკოლაში იდეალური სისუფთავე იყო. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ყველას.

* * *

გარკვეული პერიოდი ხობის №1 საჯარო სკოლაში მომიწია დირექტორობა. აქ მასწავლებელთა რჩეული კოჰორტა დამხვდა. უნდა ვაღიარო, თავდაპირველად ზედმეტად მორცხვი ბავშვივით ვიქცეოდი, იქ ისეთი პატივდებული, გამოცდილი და დამსახურებული პედაგოგები მუშაობდნენ, რომ არა სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი ზაირა ცხადაიას და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორის ქალბატონი ადა შელიას მხარში ამოდგომა, გამიჭირდებოდა „შეჩვევა“.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ისეთ პიროვნებებთან მომიწია მუშაობა, როგორებიც იყვნენ: შალვა ხარებავა, ლამარა ბუსქანძე, გული გაბრავა, ლიანა ჩაჩიბაია, ანა ვლადიმიროვნა იალოვა—იოსავასი, ციალა სახოკია, შოთა ფულარია, ლუარა ჩიტაია. აქ უმუშავნიათ ისეთ პიროვნებებს როგორებიც იყვნენ შალვა კალანდია, ჯონგულ ჯორჯიკია, ლალა თათარიშვილი, ალექსანდრა ბერაია (წლები დირექტორი გახლდათ), აბდულ ლუკავა, ვალია ბებურია, ჯონი კვირტია, ჟორჟი ხასია, ოთარ სახეიშვილი. მარადიული მოგონება და არდავიწყება მათ სახელებს. ვიცი ეს არასრული სიაა, ამიტომ ვინც გამომრჩა, პატიებას ვთხოვ მათ სულებს. (ეს ის ხალხია, ვისთანაც დიდი ნაცნობობა მაკავშირებდა).

არ შემიძლია არ გამოვყო შალვა ხარებავას მამაშვილური მზრუნველობა ჩემს მიმართ (და არა მარტო ჩემს მიმართ). მასწავლებელთა მასწავლებელი, ახალი თაობის პედაგოგთა დამრიგებელი წლების განმავლობაში სათავეში ედგა რაიონის განათლების სამსახურს. ძალიან თბილი და მოსიყვარულე პიროვნება. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის ნათელ სულს.

ასეთ პიროვნებებთან მომიწია ერთი წლის განმავლობაში მუშაობა. დიდი მადლობა უფალს ამისთვის. ძალიან ბევრი ვისწავლე მათგან, შენიშვნებსაც ვღებულობდი, როგორც დირექტორი. ყველაფერი ეს პირად ცხოვრებაში გამომადგა და უპირველეს ყოვლისა, როგორც ხელმძღვანელს, გარკვეული პერიოდის შემდეგ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით სკოლა დავტოვე. მაგრამ პირველი სკოლა ჩემი ცხოვრების ლამაზ, მშობლიურ მოგონებად დარჩება მუდამ.

* * *

საჯიჯაოს სკოლაში საინტერესო პედაგოგიური კოლექტივი დამხვდა, სკოლის დირექტორი იყო ინდიკო შამათავა, გამორჩეული პიროვნება, როგორც ფიზიკურად, ასევე მაღალი ზნეობის, თითქოს ძალიან მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ძალიან გულთბილი. ზედმეტ სახელად ცნობილი „ჯაგა“ შესანიშნავი თამადა და მომლხენი იყო. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა.

მარგო ჩიქოვანი—ისტორიის მასწავლებელი. ყველა დადებითი თვისებებით შემკული. ამაყი, მუდამ პეწიანი, მის ჩაცმულობაში იკითხებოდა მისი ხასიათი. არაჩვეულებრივი მოსაუბრე, სხვადასხვა თანამდებობებზე ნამუშევარი, მოფერებით ახალგაზრდები „მარგო დედაოფალს“ ვეძახდით.

ციალა პერტაია—რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მუდამ ხალისიანი, კლასიკური განათლების, პედაგოგი. მასთან ურთიერთობა ერთობ დიდი აკადემია იყო.

ნაზი თამლიანი—ძალიან წყნარი, საოცრი ბუნების, დედაშვილური გრძნობებით აღსავსე. იშვიათად გაიგებდით მის საუბარს სამასწავლებლოში.

გივი კოხია—ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მშობლიური ლიტერატურის კარგი სპეციალისტი. პურმარილიანი, სამეგობრო პიროვნება იყო.

კლარა ბესელია—გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ლამაზი ქალბატონი, შემტევი, ყველა კარგი საქმის მოთავე. თავისი საგნის ზედმიწევნით მცოდნე.

ალიოშა ზარანდია—მათემატკის მასწავლებელი. უწყინარი, თითქმის ექვსი ათეული წელი იმუშავა სკოლაში მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს.

დაწყებითი კლასის მასწავლებელი მინა კვარაცხელია—სავსე იუმორის გრძნობით და ბავშვებზე მზრუნველობით გამოირჩეოდა.

ზაირა ჯიქია—მათემატიკის მასწავლებელი ძალიან თბილი, მორიდებული თავისი საგნის პროფესიონალი ქალბატონი.

მერი ქაჯაია უფროსი ლაბორანტი. ლაღი ბუნების, თავისი საქმის პროფესიონალი. აი, ის ხალხი, ვისთანაც მომიწია მუშაობა.

***

ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში არ მიმუშავნია, მაგრამ მთელი ათი წელი მოსწავლეობა აქ გავატარე.

ჩემი ყოფილი მასწავლებლებიდან მხოლოდ ქეთო შენგელია და მიშა ბასილაიაა ცოცხალი. დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებ მათ. სხვები ამ ქვეყნად არ არიან.

სკოლის დირექტორი გახლდათ ისტორიკოსი კარლო ვარდია. შესანიშნავი პიროვნება—დახვეწილი ინტელიგენტი, გამორჩეული იმიჯის მქონე. მისი თითეული გაკვეთილი გამორჩეული იყო, როგორც დირექტორი კი შესანიშნავი ორგანიზატორი გახლდათ ეს ყველაფერი სკოლასაც ეტყობოდა.

ეთერ ჯოჯუა—ფიზიკის მასწავლებელი, ერთობ წყნარი, ჩუმი, თავისებური ხასიათის, თავისი საგნის ღრმა მცოდნე, მისი თვისებებიდან გამომდინარე, ყველა პატივს სცემდა და უყვარდათ.

ლუბა ჯანჯღავა—რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. დღესაც ყურში ჩამესმის მისი ახსნილი გაკვეთილები. განსხვავებული დიქციით, რუსული კლასიკური ლიტერატურის უბადლო მცოდნე.

სერგო ლაშხია—სასწავლო ნაწილის გამგე იყო, შემდეგ კი ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი, ჩვენს სკოლაში ქიმიას ასწავლიდა, თბილი, ბავშვებზე შეყვარებული. თავისი საგნის ზედმიწევნით მცოდნე. (მასზე პაროდიებს ვაკეთებდი და ეს ძალიან მოსწონდა).

ჩემი პირველი კლასის მასწავლებელი ხურთქი ლომაია იყო. შესანიშნავი ქალბატონი, მისი ამაგი ჩემთვის კი არა, ბევრი მისი ყოფილი ნამოწაფრისთვის უსაზღვროდ დიდია.

თამარ არაჩემია—ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჩვენი კლასის დამრიგებელი, მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ასევე ძალიან ახლობელი და მეგობრული. შესანიშნავი მცოდნე ქართული მწერლობისა.

დიდი სიყვარულით ვიგონებ ავთანდილ უგულავას, ლილი რეკვავას, გერმანე ჯანჯღავას, ნაირა გარუჩავას, აგრაფინა შამათავას, ნაზი ლაშხიას, ხუტა ჯანჯღავას, ვერა ნადარაიას. ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას. მშობლიურ სკოლაზე უფრო ბევრი ვიცი, საუბარიც შემიძლია, გასახსენებელი ძალიან ბევრია, მაგრამ მომავალში ვეცდები ოდნავი „წვრილმანიც“ არ დავტოვო შეუფასებელი.

* * *

არ შემიძლია არ მოვიგონო არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი ხობელებისთვის და მათი კოლეგებისთვის პატივსაცემი პედაგოგები. მეც მქონდა მათთან ურთიერთობის ბედნიერება.

ალექსანდრა ბერაია—წლების განმავლობაში ხობის №1 საშუალო სკოლის დირექტორი, შემდეგ განათლების მეთოდ-კაბინეტის მეთოდისტი, მასწავლებელთა მასწავლებელი. პედაგოგთა დიდი არმიის გამორჩეული და ღირსეული დედა—ქალბატონი.

თამარ ჩაგვავა—ყველასთვის პატივსაცემი ქალბატონი, თავისი ფიზიკური შესახედაობით დამშვენებული და გამორჩეული. მრავალშვილიანი დედა, დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდების აღზრდის საქმეში.

ანტონ გოგია—დახვეწილი ინტელიგენტი, ერუდირებული. მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა.

ალიოშა ცხადაია—მოფერებით „გენერალს“ ვეძახდი, ნაომარი კაცი, წლების განმავლობაში ომის ვეტერანთა საბჭოს ხელმძღვანელობდა.

არკადი წურწუმია—განათლების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი, როგორც მისი კოლეგა (გეოგრაფი იყო), მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. იუმორის გრძნობით აღსავსე პიროვნება. მიხაროდა განათლების განყოფილებაში მისვლა და მათთან ბაასი.

შალვა კალანდია—ყველასთვის მისაბაძი პიროვნება ენციკლოპედიური განათლებით, მასთან საუბარი ერთ დიდი აკადემია იყო.

წლების განმავლობაში გვიმუშავნია მე და კარლო ბუკიას საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაში. არაჩვეულებრივი პიროვნება, ღრმად განსწავლული მათემატიკოსი. მისგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს.

არ ვიცი როგორი გამომივიდა ჩვენი ერთობლივი ჩანაფიქრის ხორცშესხმა. სიმართლე უნდა ვაღიარო, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაწუხებს. ისე ვერ ვთქვი, როგორც მათ სულებს ეკადრებოდა, ამიტომაც კიდევ ერთხელ ვითხოვ პატიებას თქვენგან ჩემო მარადდაუვიწყარო ადამიანებო.

***ბეჟან ნადარაია.***

**გაზეთი „ჯორჯიან თაიმზი“**
**ავტორი: ნუგზარ (ხვიჩა) შონია,**
**2017 წლის 12 სექტემბერი.**

# ხობის მონასტრის სიწმინდე–ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი

## მითი და რეალობა

ჩემს სამეზობლოში მეზობლის ბავშვმა ჩემი წინაპრებისთვის წართმეული ოჯახის რელიკვია იპოვა და ყვირილი მორთო, ჩემია, მე ვიპოვეო. მშობელი, ნაცვლად იმისა, აეხსნა შვილისთვის, რომ ნაპოვნი მათ ოჯახს არ ეკუთვნოდა და პატრონისთვის დაებრუნებინა, მითვისების გულისთქმამ შეიპყრო და გადაწყვიტა ნებისმიერი საშუალებით განზრახვის სისრულეში მოყვანა.

დაახლოებით მსგავსი ვითარებაა შექმნილი ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიაში ხობის მონასტრის სიწმინდეებთან დაკავშირებით. სანამ ძირითად სათქმელზე გადავიდოდე, ვიტყვი რომ არსებობს კვართის ხობის მონასტერში დაბრუნების ხელისშემშლელი საშინაო და საგარეო ფაქტორები. საშინაოზე ვისაუბრებ სხვა დროს და სხვა სივრცეში. ახლა, რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს.

2006 წლის იანვარში ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მიტროპოლიტმა გერასიმემ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, საქმე ეხებოდა მეზობელი ეპარქიის დაქვემდებარებაში მყოფი მონასტრის სიწმინდეებს, დაარღვია საღვთო და საკაცობო ნორმები და წერილობითი თხოვნით მიმართა კულტურის სამინისტროს, გადაეცათ ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიისთვის ზუგდიდის მუზეუმში დაცული წმინდა ნაწილები და წმინდა რელიქვიები, რაზედაც მიიღო თანხმობა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც სამინისტროსთვის ცნობილი გახდა, რომ საუბარი იყო ხობის მონასტრის სიწმინდეებზე, მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

2007 წლის 3 ივლისს, ქადაგებისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსელი დარჩებოდა ზუგდიდში. განცხადებას არ მოჰყოლია არანაირი განმარტება, თუ რატომ არ უნდა დაბრუნებოდა ბოლშევიკების ძალადობით ხობის მონასტრიდან გატანილი სიწმინდე მშობლიურ ალაგს და რატომ უნდა დარჩენილიყო ზუგდიდში. აშკარად ჩანდა, რომ პატრიარქი შეცდომაში იყო შეყვანილი. ამის ჩადენა შეეძლო იმას, ვინც ერთხელ უკვე მოახერხა და შეცდომაში შეიყვანა კულტურის მინისტრი. სახეზე იყო ერთის მხრივ, უფლის მეათე მცნების უხეში დარღვევა - „არა გული გითქმიდეს... ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა“, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის განზრახ შეცდომაში შეყვანა, რაც დიდი ხნის უკან უნდა გამხდარიყო წმინდა სინოდის სამსჯელო.

მეუფე გერასიმე ხვდებოდა, რომ პატრიარქის ეს განცხადება არ იყო საკმარისი, საჭირო იყო დოკუმენტი, რომელიც სამართლებრივად გაამართლებდა და გაამყარებდა მათ მოთხოვნას კულტურის სამინისტროს უარის ფონზე და ერთ-ერთ შეკრებაზე გაკეთდა „სენსაციური“ განცხადება, რომ მათ მოიპოვეს ასეთი დოკუმენტი–წერილი, რომელშიც ხობის მონასტრის წინამძღვარი თითქოს თხოვდა აკაკი ჭანტურიას სიწმინდეების გადატანას მუზეუმში და როგორც დეკანოზებმა ანდრია კემულარიამ და მალხაზ ჭანტურიამ ბრძანეს, ეს აძლიერებდა მათ პოზიციას, რომ ფაქტი არ მომხდარა კომუნისტების ძალადობით და გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობით. მეუფე გერასიმემ თავის მხრივ დაამატა–ვერ იცავდნენ მამები სიწმინდეებსო.

წარმოიდგინეთ, 1923 წელია, საქართველო ოკუპირებულია, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიდის ტერორი, ეკლესია-მონასტრების ძარცვა-დაყაჩაღება, დაპატიმრებულია საკათალიკოსო საბჭოს მთელი შემადგენლობა და კომუნისტები არაფერ შუაში ყოფილან. პატიოსანი და პატივცემული მამები ცილს სწამებენ ხობის მონასტრის ბერებს, რომლებმაც ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად, შთამომავლობას შემოუნახეს ქართველთა საყვარელი რელიკვიები. იმისათვის, რომ სიწმინდეები ზუგდიდში მოხვედრილიყვნენ, ღვთის ნებით მომხდარა მსოფლიო ისტორიაში ყველაზე დიდი ღვთისმგმობელი რევოლუცია და „ისტორიული აუცილებლობიდან“ გამომდინარე დაუყაჩაღებია ზუგდიდის მაზრის ალმასკომის წევრს გრიგოლ როგავას ხობის მონასტერი.

დიდია სულმნათ აკაკი ჭანტურიას ღვაწლი ზოგადად სიწმინდეების გადარჩენის საქმეში. ის მართლაც თავისი კუთხის და ქვეყნის უდიდესი მოამაგე გახლდათ. მისი ღვაწლის დაკნინების მცდელობად მიმაჩნია ნიშნის მოგებით იმის მტკიცება, აკაკიმ გადაარჩინა და ამიტომ ჩვენიაო. დღეს რომ აკაკისთვის გვეკითხა, ხობის მონასტრის და სამეგრელოს სხვა ეკლესია-მონასტრებიდან სამეგრელოს მუზეუმში გადატანილი სიწმინდეები ზუგდიდელებისთვის გადაარჩინეო, რას გვიპასუხებდა? დარწმუნებული ვარ, „სამეგრელოს ექვთიმეს“ პასუხი ღირსეული ზუგდიდელის პასუხი იქნებოდა, მაგრამ, ვაგლახ, დღევანდელ ზუგდიდში, ისტორიულად ამ უდიდესი ღირსების მატარებელ ქალაქში, ჯერ-ჯერობით არ გამოჩნდა ისეთი პიროვნება, ვინც ხმამაღლა იტყოდა სიმართლეს და ამხელდა ყალბი ისტორიების შემთხზველებს.

ხობის მონასტრის წინამძღვარს მართლაც რომ მიემართა აკაკი ჭანტურიასთვის თხოვნით, გვიშველე აკაკი, შეგვინახე ხობის მონასტრის სიწმინდეებიო, ამის საფუძველზე საუბარი რაღაც პოზიციების გაძლიერებაზე, არაკორექტულია, რომელიც არ ეკადრება წესიერ და პატიოსან მეზობელს.

რა მაგალითს ვაძლევთ ჩვენ, სამეგრელოს მკვიდრნი მცხეთა-თბილისის ეპარქიას. ხობის მონასტრის სიწმინდეთა დიდი ნაწილი ხომ თბილისშია, ხელოვნების მუზეუმში: დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, წმინდა გიორგის ხატი შოთა რუსთაველის ოჯახიდან, ხობის ღვთისმშობლის „თეთროსანი“ ხატი და მრავალი სხვა. რა ვქნათ, არ მოვითხოვოთ სიწმინდეების დაბრუნება იმის შიშით, რომ თბილისელები, ზუგდიდელთა მსგავსად, მკრეხელებს გვიწოდებენ. სამწუხაროა, მაგრამ სამეგრელოს ერთ ერთ უპირველეს ტაძარში სიწმინდეთა დაბრუნების საქმეში ჩვენ, ხობელები სრულიად მარტონი ვართ და არა გვაქვს სამეგრელოს უპირველესი ქალაქის მკვიდრთა იმედი, უფრო პირიქით, რამეთუ, ერთმანეთს ეჯიბრებიან ხობელების შეურაცხყოფაში და მზად არიან სისხლიც კი დაღვარონ!

თითქმის ორი წელია ვთხოვთ ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის სამღვდელო პირებს ზემოთ ხსენებული წერილის გამოქვეყნებას, მაგრამ ამაოდ. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ვივარაუდოთ, რომ ასეთი წერილი ბუნებაში არ არსებობს და ეს განცხადებაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობა გახლდათ.

ზუგდიდელთა, 2017 წლის 18 აგვისტოს, შეკრებაზე ითქვა იმის შესახებ, რომ თითქოს ხობს ეპისკოპოსი არასოდეს ჰყოლია. ისტორიული წყაროების მიხედვით, ხობის მონასტერში მოღვაწეობდნენ, როგორც ეპისკოპოსები, ასევე კათალიკოსები. არსებობს ასეთი ტერმინიც-„ხობელი კათალიკოსი“. ხობის მონასტერში არიან დასაფლავებულები კათალიკოსები და ეპიკოპოსები ილარიონი, იოკიმე, ნიკოლოზი, გრიგოლი, ევთიმი, მაქსიმე. სამეგრელოს მთავრები გიორგი I, ვამეყი, შერგილი, ცოტნე, სამადავლე. საერო პირებს რომ არ ჰქონდეთ წაკითხული არ არის გასაკვირი, მაგრამ დავიჯერო, დეკანოზ მალხაზ ჭანტურიასაც არა აქვს წაკითხული გიორგი კალანდიას, ლილი ბერაიას, გოგიტა ჩიტაიას, ელდარ ბუბულაშვილის და სხვათა ნაშრომები ხობის მონასტრის ისტორიის შესახებ? მამა მალხაზმა, „სენსაციური“ განცხადების შემდეგ, კიდევ რამდენჯერმე „გამოიჩინა“ თავი, – კვართი იყო ბედიაში, კორცხელში, წალენჯიხაში და ხობშიცო. იგივე ბრძანა 2015 წლის 15 ივლისს ქადაგებისას მეუფე გერასიმემ, იმ განსხვავებით, რომ ხობის ხსენება საერთოდ „დაავიწყდა“. შემდეგ დეკანოზმა ბრძანა,– ლევან დადიანმა დაამზადებინა კვართის ლუსკუმა მობილური გადაადგილებისთვის და სადაც მიდიოდა, კვართიც თან დაჰქონდა, დადიანების საკუთრება იყოო,–რაც გახლავთ მორიგი უზუსტობა. არსებული ისტორიული წყაროების მიხედვით ღვთისმშობლის კვართი არ ყოფილა არც ბედიაში, არც კორცხელში, არც წალენჯიხაში, არც მარტვილში-კვართი „ეშლებათ“ სარტყელში. ისიც არასწორია, თითქოს ლევან დადიანმა დაამზადებინა ლუსკუმა. რაფიელ ერისთავის მიხედვით, კვართი განუხრწნელად მსვენარებდა ერთ კუბოში 1813 წლის განმავლობაში, რასაც მივყავართ ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის პერიოდამდე. არც ის არის მართალი, თითქოს დადიანებს კვართი აქეთ-იქეთ დაჰქონდათ. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი ადგილმონაცვლეობის გარეშე ბრძანდებოდა ხობის მონასტრის საკურთხეველში და მასთან მიახლების უფლება ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ხობის მონასტრის შემოსილ არქიმანდრიტს, დღევანდელისაგან განსხვავებით, როცა ვხედავთ, თუ როგორ უდიერად, ყოველგვარი მოწიწების გარეშე პოზირებენ კვართის წინაშე და აფრიალებენ მას, როცა მოისურვებენ და სადაც მოისურვებენ. დეკანოზმა მალხაზ ჭანტურიამ ხობელთა ლეგიტიმურ მოთხოვნას, უკრძალველობით და უდიერად მოპყრობა უწოდა, საკითხის დასმაც კი აგვიკრძალა და მოსთხოვა ქვეყნის უშიშროების სამსახურებს ჩვენით დაინტერესება. აქ საგანგაშო ის არის, რომ მის მიერ გავრცელებულ ცრუ და ყალბ ისტორიებს იჯერებენ და იმეორებენ საზოგადოების წარმომადგენლები და შფოთის ერთ-ერთი საფუძველიც სწორედ ეს გახლავთ. მეუფე გერასიმე ალბათ მიხვდა, რომ დეკანოზებს მალხაზ ჭანტურიას და გიორგი ჯგუშიას (მასზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებ) ზედმეტი მოუვიდათ და ბოლო ორი წელია, ისინი ტელეკამერების წინ არ გვინახავს. სამაგიეროდ, ვიხილეთ ახალი თაობის სამღვდელოება, რომლებიც თანდათან, სულ უფრო აქტიურდებიან.

იმავე პერიოდში, სოციალურ ქსელში, სიწმინდეთა მითვისების ერთ-ერთმა აქტიურმა იდეოლოგმა, ქალბატონმა მანანა სოტკილავამ გამოთქვა მოსაზრება, რომელსაც უფრო მტკიცებულებითი ფორმა ჰქონდა. ვერ მივეცი ჩემს თავს უფლება, შემესწორებინა პროფესორი ქალბატონისთვის, მაგრამ შევცდი, დროზე რომ მიმეთითებინა მისთვის, მეუფე ვახტანგ ლიპარტელიანს მიმდინარე წლის 18 აგვისტოს შეკრებაზე არ გააკვირვებდა თავისი „მარგალიტით“. პატრიარქმა ზუგდიდი მცხეთას გაუთანაბრა, როდესაც სამი მთავარეპისკოპოსი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა, რაც აქამდე მხოლოდ სვეტიცხოვლის ტაძარში ხდებოდაო,–ბრძანებს ქალბატონი მანანა. მართლაც, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრების ხელდასხმა სრულდება მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, მიტროპოლიტის ხარისხში აყვანა კი პატრიარქს შეუძლია ნებისმიერ ქალაქში. არ ვიცი, ზუგდიდელებმა დაუჯერეს თუ არა ქალბატონ მანანას, სამაგიეროდ, დაიჯერა ზუგდიდის მერმა, ბატონმა ირაკლი გოგოხიამ, რომელმაც თავი გამოაცხადა არც მეტი, არც ნაკლები, ღვთისმშობლის ქალაქის მერად (რომელსაც ვადა გასდის ორ თვეში).

ქალბატონი მანანა გვიკრძალავს სიტყვა კვართის წარმოთქმას, სწორია სამოსელიო. მის ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ვერ აძლიერებს მათ პოზიციებს, უფრო პირიქით, რაზეც ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებ. 2015 წლის აგვისტოში, ხობის საზოგადოების წარმომადგენლებმა, რამდენჯერმე მივმართეთ კულტურის სამინისტროს თხოვნით, 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე ერთი დღით კვართის ხობის მონასტერში დაბრძანების ნება დაერთოთ. ოდნავ მოგვიანებით სამინისტროს თხოვნით მიმართა მონასტერმაც და მივიღეთ დადებითი პასუხი. ხობელები სიხარულით შეხვდნენ ამ ინფორმაციას, გვეძლეოდა საშუალება მივახლებოდით სიწმინდეებს მათ ისტორიულ სამკვიდრებელში 92 წლის შემდეგ. როგორც კი ეს ინფორმაცია გავრცელდა, მეზობელ ეპარქიაში შფოთის ელემენტები გაჩნდა.

იმ პერიოდში პატრიარქი ისვენებდა ბობოყვათის რეზიდენციაში და მეუფე გერასიმე 7 სექტემბერს გაემგზავრა მასთან შესახვედრად. საღამოს, ზუგდიდში დაბრუნებისას მან გააკეთა განცხადება, რომ შეხვდა პატრიარქს, რომელმაც ბრძანა: გადაეცით თქვენს მრევლს, გადაეცით თქვენს სამწყსოს, რომ ეს სიწმინდე დარჩება ზუგდიდში. იგულისხმებოდა, რომ ხობელები არავის აინტერესებდა და პატრიარქი მხოლოდ ზუგდიდის მრევლზე ზრუნავდა.

მეუფე გერასიმეს ეს განცხადება იყო სულისშემძვრელი და შეურაცხმყოფელი.

როგორ შეეძლო ერის მწყემსმთავარს ეთქვა–ზუგდიდელებო, იხარეთ ხობელების დამცირების ხარჯზეო. 8 სექტემბერს, საღამოს გავემგზავრეთ ბობოყვათში, მაგრამ რადგანაც უკვე ძალიან გვიანი იყო, ვერ შევძელით პატრიარქთან შეხვედრა. დილით ადრე პატრიარქი გაემგზავრა თბილისში. გადავწყვიტეთ ვწვეოდით მის უწმინდესობას საპატრიარქოში. პატრიარქთან ჩვენი შეხვედრა შედგა 14 სექტემბერს, საღამოს, სნოში, მის რეზიდენციაში. მის უწმინდესობას გადავეცით წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო ხობელთა გულისტკივილი სიწმინდეების გარშემო შექმნილი ვითარების გა-

»»»»»»»» 13

# ხობის მონასტრის სიწმინდე–ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი

## მითი და რეალობა

12 ‹‹‹‹‹‹‹‹

მო. ვუთხარით მას, რომ სიწმინდეების ერთი დღით ხობში გადატანას ხელს უშლიდა ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის სამღვდელოება, რომელიც ამხედრებდა ზუგდიდის საზოგადოებას. მოვახსენეთ მეუფე გერასიმეს მიერ გაკეთებული განცხადების შესახებაც. პატრიარქმა გაიკვირვა, ბრძანა, მე არასოდეს ვყოფილვარ კვართის ერთი დღით ხობში გადატანის წინააღმდეგი და მოგვცა ლოცვა-კურთხევა 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე კვართის გადაბრძანებისა. გარდა ამისა, პატრიარქმა გვთხოვა აღგვედგინა ჩაუქრობელი ლამპარი, რომელიც დაუდგინა სიწმინდეებს ხობის მონასტერში წმინდა მღვდელმთავარმა ალექსანდრე ოქროპირიძემ 1898 წელს. დამშვიდობებისას მისმა უწმინდესობამ გვითხრა–რთული პერიოდია, ყველაფერს თავისი დრო აქვს, წყალი მიდგება-მოდგება და საგუბარში ჩადგებაო...

ტყუილს მოკლე ფეხები აღმოაჩნდა. ჩვენმა შეხვედრამ პატრიარქთან დაადასტურა, რომ მეუფე გერასიმესეული ინტერპრეტაცია, მისი უწმინდესობის სიტყვებისა, გახლდათ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობა. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ შევხვედროდით მეზობელი ეპარქიის მმართველს და ეს შეხვედრაც შედგა 16 სექტემბერს, ქალაქ ზუგდიდში, ივერიის ღვთისმშობლის მშენებარე ტაძრის რეზიდენციაში. მეუფეს თან ახლდა დეკანოზი გიორგი ჯგუშია. მოვახსენეთ, რომ გვქონდა პატრიარქის კურთხევა კვართის ერთი დღით, 21 სექტემბერს ხობის მონასტერში გადაბრძანების და კულტურის სამინისტროს ნებართვა. ვთხოვეთ არ შეეშალათ ხელი სიწმინდის გადაბრძანებისთვის, გამხდარიყვნენ ჩვენი სიხარულის თანაზიარნი და რომ ეს დღე გამხდარიყო ზუგდიდელებისა და ხობელების ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის დღე. მეუფე გერასიმემ მოგვისმინა და გვითხრა, რომ ამ კურთხევის შესახებ მას ინფორმაცია არ ჰქონდა და მეორე დღესვე შეხვდებოდა პატრიარქს. საუბარში დეკანოზმა გიორგი ჯგუშიამ თქვა, რა საჭირო იყო პატრიარქის შეწუხება ან კულტურის სამინისტროში წერილის გაგზავნა, მოსულიყავით ჩვენთან, გეღიარებინათ სიწმინდეები ჩვენს საკუთრებად, როგორც ამას ახლა აკეთებთ, კვართს ჩვენ თვითონვე ჩამოვაბრძანებდით ხობში და საღამოს უკან დავაბრუნებდითო. მამა გიორგის მზაკვრობამ შემძრა და ვუპასუხე: ჩვენი ნათქვამიდან ასეთი დასკვნის გამოტანა უცნაურია, მამაო, ჩვენ თქვენთან კვართის სათხოვნელად არ მოვსულვართ, რამეთუ არასოდეს არც ერთ ხობელს არ უთქვამს უარი ხობის მონასტრის სიწმინდეებზე და მით უმეტეს არ გვიღიარებია ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის საკუთრებად. უფრო მეტს გეტყვით, თუ ჩვენს სიცოცხლეში ვერ მოხერხდება ხობის მონასტერში სიწმინდეების დაბრუნება, შთამომავლობას ვუანდერძებთ ჩვენი თაობის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებას-თქო. შეხვედრის ბოლოს ვკითხეთ, ზუგდიდის საზოგადოების წარმომადგენლები ხობის მონასტერში კვართის გადაბრძანებას ხელს თუ არ შეუშლიდნენ, როგორი იქნებოდა მათი პოზიცია. მეუფე გერასიმემ და მამა გიორგიმ ერთხმად ბრძანეს, თუ საზოგადოება ხელს არ შეუშლის, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიქნებით წინააღმდეგიო. ასე დამთავრდა შეხვედრა.

მეორე დღეს მეუფე გერასიმე გაემგზავრა თბილისში და შეხვდა მის უწმინდესობას, თუ როგორი იყო პატრიარქის კურთხევა, ამის შესახებ ფართო საზოგადოებამ დღემდე არ იცის. მეუფემ ამჯერად ვერ გაბედა პატრიარქის სიტყვების ინტერპრეტირება თავის სასარგებლოდ. ნუთუ არ აინტერესებს ზუგდიდის საზოგადოებას, რა უთხრა პატრიარქმა მეუფე გერასიმეს 2015 წლის 16 სექტემბერს, რატომ იძახდა იმავე საღამოს დეკანოზი გიორგი ჯგუშია შეკრებილი ხალხის წინაშე, ვერ და არ დავემორჩილები მეუფე გერასიმესო. მანამდე კი, მას შემდეგ, რაც მეუფემ დატოვა პატრიარქის მისაღები, ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის რეზიდენციის ეზოში, სამღვდელოების მოწოდებით დაიწყო ხალხის შეკრება. მეუფე გერასიმე გამოემგზავრა ზუგდიდში, ხოლო საპატრიარქოში არსებულმა მისმა ლობისტებმა, მიტროპოლიტს გზაში დააწიეს ის ცნობილი განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ შექმნილი ვითარების გამო კვართის ხობში გადაბრძანება იყო შეუძლებელი. თან ყველაზე უცნაური გახლდათ ის, თითქოს ჩვენ, ხობელებმა შეცდომაში შევიყვანეთ პატრიარქი. ამ განცხადების შემდგენელს, პატრიარქთან მიტანილი ჩვენი წერილი რომ წაეკითხა, ასეთ აბსურდს არ დაწერდა. საღამოს ზუგდიდში მღელვარებამ პიკს მიაღწია.

შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსულმა დეკანოზმა გიორგი ჯგუშიამ თქვა,– ჩვენთან იყვნენ ხობელები მოსულები და გვითხრეს, გვათხოვეთ კვართიო, მანამდე შეხვდნენ პატრიარქს და უთხრეს, ზუგდიდში არაფერი ხდება, მშვენიერი ხალხია, გვაძლევენ კვართსო. ეს განცხადება გახლდათ ყოვლად აღმაშფოთებელი, სამწუხაროდ სამღვდელო პირმა მოატყუა საზოგადოება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ გვითხოვია კვართი. ვთხოვეთ არ აამხედროთ ხალხი, ნუ შეგაქვთ შფოთი ზუგდიდელებისა და ხობელების ურთიერთობაში, ერის მწყემსმთავრის კურთხევისთვის მორჩილებით ეცათ პატივი. არც მისი უწმინდესობისთვის გვითქვამს მსგავსი რამ. ყურადღება გავამახვილეთ სამღვდელო პირების ქმედებებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ კვართის ერთი დღით ხობის მონასტერში გადაბრძანებას.

დეკანოზმა გიორგი ჯგუშიამ თავისი გამოსვლა დაასრულა შემდეგი სიტყვებით: „ისტორიული სამართლიანობა, ამ შემთხვევაში, ეს სიტყვა, ეს ფრაზა არ არსებობს, არ მუშაობს, სამართლიანობა არის ის, რომ ის არის აქ.“

ზუგდიდელებისთვის, ხობელებისთვის, ისევე, როგორც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის შვილებისთვის, მთელი ერისთვის, სწორედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და რუსეთის მიერ წართმეული, ოკუპირებული ტერიტორიების მშობლიურ წიაღში დაბრუნებაა უმთავრესი სალოცავ-საზრუნავი. სიწმინდეებთან მიმართებაში ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია-ანექსიისა და ბოლშევიკური ტერორის შედეგად ხობის მონასტრისთვის წართმეული სიწმინდეების გათავისუფლებისა და მშობლიურ წიაღში დაბრუნების გარეშე, არ იქნება მშვიდობა ჩვენს მიწა-წყალზე, არ გაბრწყინდება საქართველო, როგორც გვაფრთხილებდა წმინდა გაბრიელ ბერი-სალოსი. რაოდენ სამწუხაროა, რომ დეკანოზ გიორგი ჯგუშიას და ეპარქიის სხვა სამღვდელო პირთა ზოგიერთი განცხადება წინააღმდეგობაში მოდის ერისა და ბერის მიერ განცხადებულ საერთო სულისკვეთებასთან და თავისდაუნებურად ისინი თავს იყენებენ ოკუპანტის გვერდით, რომლის მთავარი იარაღია ისტორიული ფაქტების გაყალბება და „უხეში ძალით თავსმოხვეული ისტორიული სამართლიანობა,“ რომელსაც ჰქვია „ის არის აქ, არ გაძლევ-მორჩა და დამთავრდა“.

მართალია, მეზობელ ეპარქიაში „ისტორიული სამართლიანობა“ არ მუშაობს, სამაგიეროდ, როგორც მეუფე გერასიმესგან შევიტყვეთ, 2008 წლის ომის დროს, როდესაც ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული, გამართულად მუშაობდა ზუგდიდის ბაზარი. როგორც მან ბრძანა, ყველაზე დიდი სასწაული, რაც ღვთისმშობლის სამოსელმა მოახდინა იყო ის, რომ ქალაქში ერთი ტყვია არ გავარდნილა, ერთი შეურაცხყოფა არ ყოფილა რუსების მხრიდან. რუსის ჯარისკაცები ბაზარში შედიოდნენ, ყიდულობდნენ, არავისთვის არაფერი წაურთმევიათო. ასეთ „ძლიერ“ არგუმენტთან „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“ აბა, რა მოსატანია.

ამ მოვლენების შემდგომ, 2015 წლის ნოემბერში მივმართეთ პატრიარქს და წმინდა სინოდის წევრებს თხოვნით, შექმნილიყო კომისია, რომელიც შეისწავლიდა სიწმინდეების გარშემო შექმნილ არაჯანსაღ ვითარებას და წმინდა სინოდი მიიღებდა ისეთ განჩინებას, რომელიც განსაზღვრავდა მუზეუმებიდან ეკლესია-მონასტრებში სიწმინდეების დაბრუნების წესს. გვეგონა, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო ეკლესიის წიაღში მსჯელობით, არგუმენტების წარმოდგენით და არა მრავალათასიანი შეკრებებით, ბრალდებებით, განკითხვით, შეურაცხყოფით, გზების გადაკეტვისა და კარვების დაცემის მუქარით და ა.შ., როგორც ეს პოლიტიკურ ორგანიზაციებს სჩვევიათ და რასაც ვხედავთ მეზობელ ეპარქიაში და რომელმაც კიდევ ერთხელ გამოიღო შედეგი-საპატრიარქო ამჯერადაც იძულებული გახდა უარი ეთქვა კვართის გადმობრძანებაზე. არეულობის პროვოცირება ჯერჯერობით მუშაობს.

როგორც მეუფე ვახტანგ ლიპარტელიანმა 18 აგვისტოს შეხვედრაზე ბრძანა, კვართზე ზრუნვა წარმატებულია და ძალიან კარგია, მაგრამ ამ ბრძოლით ჩვენ არ გავეხვიოთ იმ საუკუნო შეცდომაში, რაც შეიძლება ამ აჟიოტაჟმა მოგვიტანოსო. მიუხედავად აგრესიული ზეწოლისა, წმინდა სინოდის წევრმა უზუსტესი დიაგნოზი დასვა. იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს კომისია შეიქმნება, იმუშავებს ნაყოფიერად და დაადგენს ჭეშმარიტებას.

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, საქართველოს ყველა ხელისუფლება დამოუკიდებლობას აღნიშნავს არა 9 აპრილს, არამედ 26 მაისს. ეს იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას და ეროვნულ ძალთა დამსახურება ქვეყნის წინაშე დააკნინონ და დაამცრონ. დაახლოებით მსგავსი რამ ხდება ჩვენთანაც-ტრადიციული, ქართული, ეროვნული საეკლესიოსაერო დღესასწაული, „მარიამობა–მარაშინა“ დაკნინებულია, სამაგიეროდ დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის ვლაქერნას ტაძარში ღვთისმშობლის სამოსელის დადების დღესასწაული „ვლაქერნობა“. მიუხედავად იმისა, რომ ხობის მონასტრის სიწმინდეს, ღვთისმშობლის კვართს, „ვლაქერნობასთან“ არანაირი კავშირი არა აქვს, მეუფე გერასიმე და ზუგდიდ-ცაიშის სამღვდელო პირები ამ არგუმენტს უკუაგდებენ. იმდენად ძლიერია სიწმინდის მითვისების სურვილი, რომ საკუთარი ზრახვების განხორციელებისთვის ხდება გულანთებულ მამულიშვილთა გამოყენება. კვებეს ისინი ცრუ და გაყალბებული ისტორიებით, გაასაღეს თავიანთი სურვილი ღვთისმშობლის ნებად, რასაც დღემდე წარმატებით ახორციელებენ.

როდესაც ხობის მონასტერში კვართი მოუბრძანებიათ, საზეიმო წირვის შემდეგ მოუნდომებიათ მისი კუბოში ჩაბრძანება, მაგრამ თურმე კვართი არ დაიკეცა. მხოლოდ ორკვირიანი, განუწყვეტელი წირვა-ლოცვის შემდეგ დაუკეციათ კვართი და ყოველ წელს, მარიამობის ორკვირიანი მარხვის დროს, ხობის მონასტრის ბერები აღასრულებდნენ 24-საათიან წირვა-ლოცვას, რომლის გვირგვინი გახლდათ „მარაშინა-მარიამობა“, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ მარიამის მიძინების გახსენება–„მარიამიშ შინა“, რომელიც ყველაზე განთქმული დღესასწაული იყო სამეგრელოში და რომლის აღდგენის საშუალებაც არ გვეძლევა ხობის მონასტერში მავანთა ამპარტავნებისა და შურის გამო.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ-სამოსელი სხვაა, კვართი სხვა. ამის დასამტკიცებლად ფსალმუნში (21:19) მოყვანილი წინასწარმეტყველებაც საკმარისია: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.“ დავით მეფსალმუნე ბრძანებს, რომ კვართზე, რომელიც მაცხოვარს შიგნიდან ეცვა, ყარეს წილი, ხოლო სამოსელი, რომელიც გარედან ემოსა, ოთხ ნაწილად განიყო. ასევეა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წმინდა შესამოსელთა შემთხვევაშიც. საქართველოს ეკლესიის კალენდარში ვკითხულობთ: „დადება პატიოსნისა სამოსელისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ვლაქერნას.“ ახალი სტილით 15 ივლისს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ღვთისმშობლის სამოსელის ვლაქერნაში დადების (458-471 წ.წ.) დღესასწაულს, რომელთანაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ხობის მონასტრის სიწმინდეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართს არანაირი კავშირი არა აქვს. ისმის კითხვა, სად იმყოფება ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსელი, რომელიც ძმებმა კანდიდმა და გალვიუსმა ნაზარეთიდან კონსტანტინოპოლს ჩაიტანეს?! როგორც ჩვენი ფრანგი მეგობრები ამტკიცებენ, საფრანგეთის ქალაქ შარტრის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში.

მინდა დავუბრუნდე საქართველოს ეკლესიის კალენდარს, რომელიც ღვთისმშობლის წმინდა სამოსელის დღევანდელი ადგილმდებარეობის შესახებ გვეუბნება: „სიწმინდე ამჟამად დასვენებულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმში“, რაც არასწორია და უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: „სიწმინდე ამჟამად დასვენებულია საფრანგეთის ქალაქ შარტრის საკათედრო ტაძარში.“

ალბათ დადგა დრო და ეს, პირველ რიგში, უნდა გაითავისონ ჩვენმა ზუგდიდელმა ძმებმა, ავაღორძინოთ ქართული ტრადიციული დღესასწაული, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წმინდა კვართის საქართველოში ჩამობრძანებისა და ხობის მონასტერში დაბრძანების დღე და მისი გვირგვინი მარაშინა-მარიამობა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის მცველები საუკუნეების მანძილზე იყვნენ ხობის მონასტრის ბერები, ხობის ღვთისმშობლის შვილები-ხობარები და მთელი სამეგრელოს მოსახლეობა. ჩვენ კი, მათ შთამომავლობას, სამარადჟამოდ გვახსოვდეს მათი დანაბარები: „ნურც ბერი, ნურც ერი ნუ ვიქნებით ცოცხლები, თუ ეს სიწმინდეები დავკარგეთ!“

**ნუგზარ (ხვიჩა) შონია.**

ბატონი კობა თუთბერიძე–ნაღდი ქართველი, ხობზე და ხობელებზე უზომოდ შეყვარებული, ახლობლების ლხინისა და ჭირის გამზიარებელი და გვერდში მდგომი პიროვნებაა.

კობა სპორტზე შეყვარებული და უზომოდ მშრომელი ადამიანია, მის მიერ გაწვრთნილმა სპორტსმენებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიოს მასშტაბით. მას შრომა დაუფასდა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

მრავალ სხვა წარმატებებთან ერთად ვულოცავთ ბატონ კობას ამ წოდების მინიჭებას და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.



# „სპორტი არა მარტო კუნთების ვარჯიში, არამედ ცხოვრების გზამკვლევიცაა“

***გთხოვთ, გაეცნოთ მკითხველს.***

–უღრმესი მადლობა მოლოცვისთვის.

დავიბადე 1972 წლის 24 მაისს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიაში. 1989 წელს წარჩინებით დავამთავრე ხობის №1 საშუალო სკოლა, 1994 წელს ქ. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. ამჟამად ვმუშაობ ხობში „ა(ა)იპ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში“ მკლავჭიდის მწვრთნელად.

მეუღლე ნონა შამათავა სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების, ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილეა, ვაჟიშვილი კობა №1 საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე.

***როდის აღმოაჩინეთ თქვენში სპორტის ამ სახეობის მიმართ ინტერესი?***

–ბავშვობიდანვე სპორტის ნებისმიერი სახეობა ძალიან მაინტერესებდა და ეხლაც ასეა. თუ სულით სპორტსმენი ხარ, სახეობებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჩემში ყოველთვის იყო გამარჯვების ჟინი. ბავშვობიდანვე ვჭიდაობდი და რაც თავი მახსოვს, ფიზიკურად ყოველთვის ძლიერი ვიყავი. როგორც ჭიდაობა, ისე მკლავჭიდიც ქართველებს სისხლში გვაქვს. 90-იან წლებში უნივერსიტეტში სწავლისას ვეზიარე ამ სახეობას. იმავე წელს გავხდი რუსეთის უნივერსიადის ჩემპიონი. ვიყავი საქართველოს პრიზიორი, დასავლეთ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი. მართალია, მაშინ უფრო ე.წ. „ველური მკლავჭიდი“ იყო, თუმცა ქართველებმა ეს ვაჟკაცური სპორტის სახეობა შევისისხლხორცეთ და შემდგომ განვავითარეთ.




***თქვენს წარმატებაში ალბათ დიდია მწვრთნელების როლი, რას გვეტყვით მათზე?***

–საზოგადოდ, ვინც შეგირდი არ ყოფილა, ის ვერასოდეს გახდება ოსტატი. ადამიანის სწორად ჩამოყალიბებაში (აგრეთვე სპორტული მიმართულებით) დიდი ადგილი უჭირავს მასწავლებლებს, იგივე მწვრთნელს. ჭიდაობას მასწავლიდა ბატონი ჟიულერ პაჭკორია, სკოლაში ფიზიკურ კულტურას–ცნობილი მიშა დანელია, მკლავჭიდს ქუთაისში–ამირან უგულავა. ისინი ყველანი თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან, დიდი მადლობა მათ.

***როგორია განცდები და ემოციები, რომელსაც განიცდით თქვენი მოსწავლეების წარმატებისას.***

–რთულია გადმოსცე ეს ემოცია, როდესაც ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მკლავჭიდელი, გენადი კვიკვინია დიდ სპორტში პირველ ნაბიჯებს დგამდა, საქართველოს მასშტაბით მე მას ყველგან ვახლდი. ჩვენ, ხობელები ყველასთვის უცნობები ვიყავით... და გენადიმ საქართველოს ჩემპიონატზე თბილისში ყველა გააოგნა. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა და ვფიქრობდი, როდის გვეყოლება ხობელებს მსოფლიო ჩემპიონი. ეს დღეც დადგა. ხობის ცენტრალურ სტადიონზე ვუყურებ ფეხბურთის მატჩს. გენადი ევროპის ჩემპიონატზეა, ბელგიაში. ტელეფონი რეკავს: „მასწ. მე-2 ადგილი ავიღე“,–ენა ჩამივარდა, აზრები გამეფანტა. გონზე მოსული ვეუბნები: „შენ იცი რას ლაპარაკობ?“–„კი, მასწ. მე-2 ადგილი ავიღე!“ ჩემი გიჟური რეაქციის გამო ნახევარი სტადიონი მე მიყურებდა და მას მერე წარმატებები ულევად მოვიდა... გენადი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. მერე იყო ვილენი გაბრავა, გოჩა სიჭინავა, ანრი ბუკია, გიგა კოდუა, დათუნა ჟიშკარიანი, დიტო ბუკია.

მე ამ ემოციებით ვსულდგმულობ. როცა ხედავ შენს მიერ აღზრდილი სპორტსმენი ჩემპიონი ხდება, შენი ქვეყნის ჰიმნს უკრავენ, შენი ქვეყნის დროშა ყველაზე მაღლა ფრიალებს და მსოფლიო არენაზე ქვეყნის წარმოჩენაში წვლილი მიგიძღვის, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს.

***თქვენს „მკლავმაგარ“ ბიჭებზე რას იტყვით. გარდა სპორტული წვრთნისა, ალბათ, თეორიულ და ცხოვრებისეულ ცოდნასაც აწვდით მოსწავლეებს?***

–გენადი კვიკვინია და ვილენ გაბრავა მსოფლიო დონის მკლავჭიდელები არიან და აქ ყველაფერია ნათქვამი. გენადი პირველი მსოფლიო ჩემპიონია ხობის სინამდვილეში და მარად ასე დარჩება. შემდეგ წამოვიდა ახალი თაობა: მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გოჩა სიჭინავა, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პრიზიორი ანრი ბუკია, მსოფლიოს და ევროპის პრიზიორები გიგა კოდუა, დათუნა ჟიშკარიანი, დიტო ბუკია. ისინი არა მარტო დიდი სპორტსმენები, არამედ დიდი ადამიანებიც არიან. მათ კარგად იციან შრომისა და ოფლის ფასი და სწორედ ამიტომ ცუდი ვერ იქნებიან.

მოზარდს, რომელიც დარბაზის კარს შემოაღებს, ინდივიდუალურად უნდა მიუდგე. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ბავშვებთან ე.წ. 15-20 წუთიან საუბრებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ თემებზე. ვუყვები ძლიერ სპორტსმენებზე, რომლებმაც აჯობეს საკუთარ თავს. რომ ცხოვრებაში სიმართლით უნდა იარონ, უნდა უხაროდნეთ სხვისი წარმატება და ეცადონ თავიანთი შრომით მიაღწიონ შედეგს. ვუნერგავ რწმენას, თუ რწმენა გაქვს, ნებისყოფაც გამოგიმუშავდება. ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ არიან ქართველები, სპორტში მსოფლიო ჩემპიონობა კარგია, თუმცა უმჯობესი ჩემპიონობა ადამიანობაა.

***სკოლის წლებს და პედაგოგებს ხომ არ გაიხსენებდით, ვიცი, საკმაოდ წარმატებული მოსწავლე და ზოგიერთი პედაგოგის „რჩეული“ იყავი. საგანი, რომელიც გამორჩეულად გიყვარდათ?***

–საკმაოდ ძლიერი პედაგოგები მასწავლიდნენ №1 საშუალო სკოლაში, მრავალჯერ მითქვამს „რაც ჩემში კარგია, ჩემი მასწავლებლების დამსახურებაა, რაც ცუდია, ის მხოლოდ ჩემია-მეთქი“. დიდებული ადამიანები იყვნენ. დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, ნათელი დაადგეს მათ საფლავებს.

არასდროს დამავიწყდება, უნივერსიტეტში სწავლისას, ფიზკულტურის ლექციაზე პარკში დავყავდით. ერთ დღეს რკინის პატარა ბურთების სროლაში ვეჯიბრებოდით სტუდენტები ერთმანეთს. მე, სკოლაში ძალიან შორს ვისროდი ბურთს და ყუმბარებს. ჰოდა, ხუთი ბურთიდან, რომელიც ვისროილე, ორი დაიკარგა, ვერ მოძებნეს. ხშირად მამეორებინებდა მიშა მასწავლებელი ამ ამბავს და უხაროდა.

საგნებიდან გამორჩეულად ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია მიყვარდა, თუმცა მწყრალად არც მათემატიკურ საგნებთან ვყოფილვარ.

***კობა, სატელევიზო ინტელექტუალურ პროექტ „რა, სად, როდის?“ მაყურებელთა შეკითხვის სექტორში ოთხჯერ გამარჯვებული ხართ. ამ წარმატებაზეც მოგვიყევი?***

–უნივერსიტეტში ხშირად ვიყავი ინტელექტუალთა გუნდის კაპიტანი, მასწავლებლობის წლებშიც. ადამიანი ყოველთვის თვითგანვითარებაზე უნდა ფიქრობდეს. ჩემი თაობისთვის წიგნი ძალიან ბევრს ნიშნავდა და ეხლაც ასეა. ხშირად, სპორტსმენებზე არასწორი წარმოდგენა აქვთ, არადა დიდი სპორტსმენები ხშირად დიდი ინტელექტის მატარებლები არიან. ჩემმა კითხვებმა ოთხჯერ გაიმარჯვა. მოუთმენლად ველი სატელევიზიო პროექტს–„რა? სად? როდის?“ კვლავ ეთერში გასვლას.

ჩემი, და არა მარტო ჩემი ოცნებაა ხობის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდეს ინტელექტუალთა კლუბი. ხობს ამის დიდი პოტენციალი გააჩნია. საბედნიეროდ, ჩვენში საკმაოდ არიან სხვადასხვა სფეროში ღრმად ერუდირებული და განსწავლული ადამიანები.

***თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

–მიყვარს თევზაობა, ნადირობა, წიგნები. მეგობრებთან ერთად გართობა და ქეიფი.

***თქვენი ვაჟი მამის კვალს ხომ არ მიყვება, რას უწინასწარმეტყველებთ?***

–ის ჯერ მხოლოდ შვიდი წლისაა, ჯერ-ჯერობით ცეკვაზე დადის. ისე, ძალიან დიდ ინტერესს იჩენს სპორტის მიმართ. არ მინდა ჩემი მითითებებით გააკეთოს არჩევანი. ხშირად ჩემთანაა დარბაზში, მოჭიდავეებთანაც შეიხედავს ხოლმე, თვითონ უნვითარდება სპორტული თვალსაწიერი, წამოიზრდება და, ალბათ, გააკეთებს არჩევანს.

***კურიოზები მრავლად გექნებოდა, გამორჩეულზე მოგვიყევი?***

–ქუთაისში, უნივერსიტეტში სწავლა ახალი დაწყებული მქონდა, ჯერ კიდევ ჯგუფელები გაცნობის რეჟიმში ვართ. ქუთაისური იუმორი და კილო განსაკუთრებულია. ერთ მშვენიერ დღეს ჯგუფელი მოდის და მეუბნება:

–წამო, კობაია დევეშვათ კინოში?

ეს იყო და ვსტაცე კისერში ხელი და ვეუბნები:

–ვინაა, ბიჭო შენი კობაია?

ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა და შეშინებულმა ძლივს ამოილუღლუღა:

–რა იყო, კობაია, სიმონ, რა გეწყინაო?

მერე მეც მივხვდი–ის თუ კახაია იყო, სხვა–ზაზაია, ლაშაია, ზვიადია, მეც კობაია ვიქნებოდი.

***წარმატებებს ჩვეული. მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?***

–ხელოვნება და სპორტი ნებისმიერი ქვეყნისთვის სავიზიტო ბარათია. ჩვენ ხობელებს გამორჩეული სპორტული ინფრასტრუქტურით მოგვქონდა თავი. ახლაც, პრიორიტეტები იგივე რჩება, ხობში მალე გაიხსნება მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მოუთმენლად ელის. მკლავჭიდელებს საკუთარი კედლები ექნებათ. დროა, გადავიდეთ მართვის ახალ რელსებზე. მიზანმიმართული თაობა მოდის, იქნება ახალი გამოწვევები, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ განვითარების მეტი შანსი ჰქონდეთ.

სპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ვთვლი, რომ რაზეც ვოცნებობდი მწვრთნელის რანგში, თითქმის მივაღწიე. ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ქალაქისთვის, სადაც არ უნდა ვიყო, მაქსიმუმს გავიღებ. რაღაც განსაკუთრებული უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენმა შვილებმა ისევ ჩვენს ქალაქში იცხოვრონ.

***თქვენი რჩევები და სურვილები, როგორც წარმატებული სპოტსმენის, ჩვენს ახალგაზრდებს.***

–ჩემი მოკრძალებული რჩევა იქნება ნებისმიერმა ახალგაზრდამ თვითონ აირჩიოს სწორი გზა, სპორტი არა მარტო კუნთების ვარჯიშია, არამედ ცხოვრების გზამკვლევიცაა. უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც შეეჭიდები, მშრომელი ადამიანი ყოველთვის მიაღწევს საწადელს, სწორედ შრომას და სიყვარულს ვუსურვებ მომავალ თაობას.

„ხობის მოამბეს“ მადლობას ვუხდი ჩემით დაინტერესებისთვის და დიდ წარმატებებს გისურვებთ.

**ესაუბრა ჯულიეტა ლატარია**

***P.S.** გაზეთი მზადების პროცესში იყო, როდესაც უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში, ბატონ კობას ხუთი მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან ოთხმა მორიგ წარმატებებს მიაღწიეს, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს გიგა კოდუამ, დათუნა ჟიშკარიანმა და დიტო ბუკიამ, ხოლო ლეგენდარული გენადი კვიკვინია ამჯერად აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ვულოცავთ...*

სულთათანა



# ზურაბ სოტკილავა

ამიერიდან ზურაბ სოტკილავას სახელი გამორჩეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ვარსკვლავთა ზეციურ პანთეონში.

მისი სცენაზე გამოჩენა ყოველთვის დიდი ზეიმი იყო, რადგან უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს ანიჭებდა საზოგადოებას. მისი სიმღერა აერთიანებდა და ერთსულად აქცევდა მსმენელს. იშვიათია მომღერალი, რომელიც ერთნაირი ოსტატობით ასრულებს როგორც კლასიკურ მუსიკას, ასევე ხალხურ სიმღერებს. ვისაც ზურაბ სოტკილავას მიერ შესრულებული, ლირიზმით სავსე მეგრული სიმღერები მოუსმენია, მის დავიწყებას ვერასდროს შეძლებს. ამ სიმღერებში საოცარ ემოციას და მშობლიური ქვეყნისადმი უდიდეს სიყვარულს აქსოვდა. ეს განწყობა შესანიშნავად გამოხატა ცნობილმა საოპერო რეჟისორმა ბორის პაკროვსკიმ: „გინახავთ იგი როგორ მღერის საქართველოზე? განა შეიძლება იმ წამს ჰპოვოთ უფრო ბედნიერი ადამიანი და ქვეყანა  უფრო წარმტაცი?“

სწორედ ამ წარმტაცი ქვეყნისა და მშობლიური კუთხის მადლიერების გამოვლენა იყო 2007 წლის ივნისში ხობის მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე „სიმღერა სამეგრელოზე“ საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ზურაბ სოტკილავას 70 წლის იუბილის აღნიშვნა. გამოიცა საიუბილეო ალბომი 4 კომპაქტდისკით, მათ შორის ოთარ თაქთაქიშვილის „მეგრული სიმღერები“, შეიქმნა დოკუმენტური ფილმი. სამეგრელოში ქართულ მუსიკალურ საზოგადოებასთან ერთად საიუბილეო დღეებში მონაწილეობდა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთა კოჰორტა ლეგენდარული ელენე ობრაზცოვას ხელმძღვანელობით.

არასდროს დაგვავიწყდება კოლხი მასპინძლების ყურადღებით მოხიბლული სტუმრების შემყურე ბატონი ზურაბის სიამაყითა და კმაყოფილებით სავსე ღიმილი. ზურაბ სოტკილავას იუბილე ხობში სიმღერისა და სიყვარულის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. სამეგრელო მოეფერა და გულში ჩაიკრა საამაყო შვილი. ეს დამოკიდებულება ყველაზე კარგად აისახა ფესტივალზე სტუმრად მყოფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვებში: „დღეს ხობში მთელი საქართველოს მუსიკალური ზეიმია და ეს დღე გვაჩუქა ზურაბმა. იგი ქართული გენის ამოფრქვევაა და ეს ჩანს მის სულიერ სამყაროში“.

სწორედ, მდიდარი სულიერი სამყარო განსაზღვრავდა ზურაბ სოტკილავას პიროვნულ თვისებებს. ხშირად იმეორებდა თავისი პედაგოგის დავით ანდღულაძის შეგონებას: „მთავარია იყო ადამიანი და მეორე ამოცანაა გახდე მომღერალი“.

იგი იყო ღირსეული ადამიანი და დიდი მომღერალი, რომელიც ხობის კულტურის სახლის სცენაზე გასასვლელად ისეთი მღელვარებით ემზადებოდა, როგორც მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენაზე სიმღერისას. ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ხობის ფესატივალის მისეულ შეფასებას:

„ეს ფესტივალი თავის საქმეს აკეთებს. აღდგა დაკარგული მეგრული სიმღერები, ჩაიწერა დისკები, გამოიცა წიგნები. როგორც ხელოვანი და მომღერალი მადლობელი ვარ ფესტივალის ორგანიზატორების ამ მამულიშვილური წამოწყებისთვის“.

მადლობა თქვენ, ბატონო ზურაბ, იმ  თანადგომისა და გულისხმიერებისთვის, რომელსაც მუდმივად იჩენდით ხობის ფესტივალის მიმართ.

***ხობის საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ საორგანიზაციო ჯგუფის სახელით***
***გოდერძი ბუკია (ჯგუფის ხელმძღვანელი), ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სიხარულიძე, მარინა მიქაძე, ზურაბ ერქვანია, ბადრი ბერაია, რალა ჩემია.***

# არეთა ჩოკორაია



ხობის მუნიციპალიტეტის ძველი თაობის ღირსეულ პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მასწავლებელი, მრავალი საკავშირო თუ რესპუბლიკური ჯილდოს კავალერი, ომისა და შრომის ვეტერანი ქალბატონი არეთა ესტატეს ასული ჩოკორაია.

ქალბატონი არეთა ჩოკორაია დაიბადა 1920 წელს, ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში. 1938 წელს დაამთავრა ხობის საშუალო სკოლა და პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო ამავე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 1942 წელს გადაიყვანეს სოფელ თორსა-ღვაბის დაწყებითი სკოლის გამგედ, ხოლო 1943 წელს მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც იმუშავა 1995 წლამდე–დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქალბატონი არეთა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ამ ხნის მანძილზე ასეულობით ახალგაზრდას შეასწავლა წერა-კითხვა, შეაყვარა წიგნი, გაუმდიდრა სულიერი სამყარო, გაუღვივა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, განუვითარა სიკეთის კეთებისა და დანახვის უნარი, ჩამოუყალიბა შრომის უნარ-ჩვევები, პირადი მაგალითით გაუნათა პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის გზა, აღზარდა მრავალი სასახელო ადამიანი, რომლებიც დღესაც პატიოსნად და წარმატებით ემსახურებიან სამშობლოს.

ქალბატონმა არეთამ თავის დროზე შექმნა შესანიშნავი ოჯახი ბატონ გალაქტიონ ბუკიასთან ერთად, რომელიც სოფელ პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, თუმცა მათი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ბატონი გალაქტიონი სრულიად ახალგაზრდა, 32 წლის ასაკში გარდაიცვალა და სამი მცირეწლოვანი შვილი დატოვა. რის შემდეგ ქალბატონ არეთას ცხოვრების კრედოდ უმწიკვლო რეპუტაციის შენარჩუნება და შვილების ქვეყნისა და ოჯახისთვის სასარგებლო ადამიანებად აღზრდა იქცა, რასაც წარმატებით გაართვა თავი და საზოგადოების მადლიერება დაიმსახურა, ამასთანავე უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა.

ქალბატონი არეთას თავდადებული შრომა უყურადღებოდ არ დარჩენია არც კომუნისტურ და არც ეროვნულ ხელისუფლებას. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში ორჯერ დააჯილდოვეს იმდროინდელი საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით და გადასცეს მედლები „კავკასის დაცვისათვის“ და „დიდ სამამულო ომის წლებში თავდადებული შრომისათვის“. შემდეგ იყო მრავალი რესპუბლიკური ჯილდო წარმატებული პედაგოგიური მუშაობისათვის, სულ ბოლოს კი ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი საიუბილეო მედალი.

ქალბატონმა არეთამ იცხოვრა ღრმა ხანდაზმულობამდე. იგი იყო ფიზიკურად და ზნეობრივად გამორჩეული ადამიანი. მის ოჯახს, მშობლიური სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, ახლობლებს, აღზრდილებს, მეგობრებს და უბრალოდ ნაცნობებსაც კი არასოდეს დაავიწყდებათ ეს ლამაზი, ძალიან შრომისმოყვარე და კეთილი ადამიანი, რომელმაც ახალგაზრდობაში თავის სულის სადაგი, უკეთილშობილესი პროფესია აირჩია და ღრმა კვალი დატოვა თითოეული ჩვენგანის სულში.

მისი ხსოვნა დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

***სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.***

# ტასო ზამბახიძე-ცხადაია



91 წლის ასაკში გარდაიცვალა  რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, პერსონალური პენსიონერი, მეაბრეშუმე აგრონომი ანასტასია (ტასო) ნიკოლოზის ასული ზამბახიძე.

მან 48 წელი იღვაწა რაიონის მეაბრეშუმეობის სისტემაში, სხვადასხვა დროს მუშაობდა უბნის აგრონომად, უფროს აგრონომად, რაიონის აგრონომად. იყო აქტიური მოქალაქე–რაიონული და სასოფლო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, შრომის ვეტერანი, ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირი.

დიდი აკაკი წერეთლის თანამემამულემ, სხვიტორში დაბადებულმა ქალმა სამი შვილის, შვიდი შვილიშვილის და ბადიშის დედამ და ბებიამ 69 წელი ღირსეულად იცხოვრა მის თანამედროვე აგრონომ კაპიტონ ცხადაიასთან ერთად.

ქალბატონი ტასო (როგორც მას იცნობდა რაიონი) იყო უაღრესად კეთილშობილი, სამართლიანი, განათლებული, მოსიყვარულე, შემოქმედი ადამიანი. წერდა ლექსებს, მღეროდა, უკრავდა. სიკეთეს და სითბოს უნაწილებდა ირგვლივმყოფებს.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

**მეგობრები.**

შევდივარ ოთახში, ვათვალიერებ და ვეხები შენს ნივთებს, ნაწერებს.

ათიოდე დღის წინ გივლიდი, გეფერებოდი, ვზრუნავდი შენზე, გჭირდებოდი....

მეტყველებაარეულიც კი მაგებინებდი, უძლურიც კი ზრუნავდი ჩემზე, მიფრთხილდებოდი, დედა!

ერთ დღეში დავბერდი, მას შემდეგ რაც დედა აღარ მყავს!

შენსავით ვერ გამოვთქვამ, შენსავით ვერ ვწერ! შენი სანაცნობოდან, სამეგობროდან, საახლობლოდან არავინ დაგრჩენია, ვისაც შენეული სითბო და სიკეთე სტრიქონებში არ ჩაუწანი  და აკროსტიხის სახით არ დაუტოვე სამარადისოდ.

გულწრფელი ცრემლით დაგიტირა ხალხმა!

მივხვდი–ბუნებაში არაფერი იკარგება! რაც სიცოცხლეში მადლი გაეცი, უკანვე დაგიბრუნდა სიყვარულის სახით. „როგორ დამეხმარა, რამდენი პატივი მცა, გაჭირვებაში გვერდით დამიდგა, გამამხნევა, გაიზიარა, გამომიგზავნა...“ ამ ფრაზებს გვეუბნებოდა სამძიმარზე მოსული ყოველი მეორე–რამდენი რამ არ გვცოდნია შენზე!

არ არის ცოტა, 91 წელი მარიამობას შეგისრულდა! შენც აღნიშნავდი, გვაჩვევდი–მალე მარადისობაში რომ უნდა გადასულიყავი–თუმცა არ გინდოდა, ჩვენთან ყოფნას ნატრობდი, დეკემბრამდე როგორმე „მიმაჩოჩიალეთო“, შვილიშვილების–ნინოს, მათეს, გიორგის ოჯახის შექმნასაც გინდოდა მოსწრებოდი. „ყველაფერს აქვსო დასაწყისი და დასასრული. ადამიანი იბადება, იზრდება, ბერდება და კვდებაო, არ ინერვიულოთო, ჩემს ასაკამდე ჩემს სანათესაოში არავის მიუღწევიაო“ (მადლობა უფალს ამისთვის), თუმცა გულისგულში, ალბათ, თანაცხოვრების 70 წლის იუბილეც გინდოდა შენს საყვარელ მეუღლესთან და შთამომავლობასთან ერთად აღგენიშნა. ჩვენი ოჯახი ხომ ამ დღეს, 4 ნოემბერს, საგანგებოდ იკრიბებოდა. „დიდი ძალა აქვს სიყვარულსო“–ამბობდი  „ მან გადამატანინა ყველა გაჭირვებაო“ და ეს დაამტკიცე კიდეც. მეტყველება და გრძნობადაკარგულს ორი ფრაზა შემოგრჩა: „დედა“ და „ჩემო კაპიტო“.

ინსულტამდე ორი დღით ადრე წიგნზე წაგიწერია, სახსოვრად დაგიტოვე-გამოგადებაო.

სათვალის გარეშე კითხულობდი და წერდი. დისკომფორტი მაშინ შეგექმნა, როცა ერთ თვალში მხედველობა დაკარგე და მეორეთი ვეღარ კითხულობდი. ამ ასაკშიც კი შენი ნაწერები გვაოცებს–საოცარი ხელწერა, აზრი, რჩევები... შვილიშვილისადმი მიწერილ წერილში ამოვიკითხეთ: „მინდა სასახელო, კარგი ადამიანი გამოხვიდე. გთხოვ უმორჩილესად წიგნი შეიყვარე, კითხვა არ დაიზარო, ალალი ხარ ძალიან, მე ეს მიხარია. იყავი მეგობრული, მართმადიდებელი ქრისტიანი, მოხუცების და ახალგაზრდების პატივისმცემელი, ტყუილი არასოდეს თქვა. იყავი ყველასთან თავმდაბალი, ამპარტავანი ადამიანი არ მიყვარს, მაგრამ შენი თავის პატივისცემა და პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის გქონდეს“.

მეამაყები დედა! ასეთი იყავი, ღირსეულად იცხოვრე, სიტყვა და საქმე ერთი გქონდა–„სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

მშვიდობით, მენატრები, მიყვარხარ, დედა!

**ნინო ცხადაია.**

# „სწორი სტრატეგია და ცოტაოდენი იღბალი?“– აი, რას უნდა ფლობდეს ნარდის მოთამაშე



ნარდი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა და იგი საუკუნეებს ითვლის. სწორი სტრატეგია და ცოტაოდენი იღბალი–სწორედ ამ ორი ფაქტორის კომბინაციამ გაუწია ნარდის თამაშს პოპულარობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. თერთმეტი წლის წინ 2007 წლიდან,საქველმოქმედო ფონდმა „ხობი“, რომლის პრეზიდენტიც, გოდერძი ბუკია გახლავთ, საფუძველი ჩაუყარა გოგი ბუკიას სახელობის საერთაშორისო ტურნირს ნარდში.

გოგი ბუკია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რეგიონალური კორესპონდენტი იყო და ტურნირი მისი, როგორც პროფესიონალური ჟურნალისტის ხსოვნისადმია მიძღვნილი.

გოგი ბუკიას მემორიალური საერთაშორისო ტურნირი რეიტინგითა და ავტორიტეტით მონტე-კარლოს და კვიპროსის ტურნირებთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო ტურნირების სამეულში შედის.

ტურნირის ორგანიზება ერთგვარი სტრატეგიული სვლაა, რომ მსოფლიო არენაზე საქართველოს უძველესი კულტურის და ტრადიციების, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა მოხდეს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მონარდეები ოჯახებთან ერთად მოგზაურობენ, უცხო ქვეყნების გაცნობის, საყვარელი სპორტის სახეობის ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად და წარმატების მისაღწევად.

ორგანიზატორთა მიზანიც მიღწეულია,–ტურნირის მონაწილეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2014 წელს ორგანიზატორთა ინიციატივით, საქართველოს ნარდისკლუბი დაფუძნდა, 2016 წელს თბილისში პირველად ჩატარდა სპორტული ნარდის მსოფლიო თასის გათამაშება. ოლიმპიური თამაშების მსგავსად, ნარდის ტურნირები ტოლერანტულ ხასიათს ატარებს და საასპარეზოდ იწვევს ნარდის მოყვარულებს, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა და ქვეყნებსშორის არსებული პოლიტიკური ვითარებისა.

ტურნირის ორგანიზატორების ინიციატივით, წყალტუბოში ყოველწლიურად ტარდება გოგი ბუკიას სახელობის ნარდის საერთაშორისო ტურნირი ჟურნალისტებსშორის–მედია ტური. სწორედ ტურნირის მონაწილე ჟურნალისტების მეშვეობით მოხდება საქართველოს პოტენციალის გაშუქება და პოპულარიზაცია.

წლევანდელ ტურნირში თერთმეტი ქვეყნის ორმოცდაათი მონაწილე ყომარბაზობდა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. უცხოელი ჟურნალისტები მასალებს ეცნობიან, წინაპირობა ასეთია, რომ გამგზავრების შემდეგ ბეჭდურ მედიაში თავიანთ ქვეყნებში ნარდის ტურნირის შესახებ ინფორმაციას გაავრცელებენ. ეს ყველაფერი კი საქართველოს პოპულარიზაციას ხელს უწყობს.

ნარდი სენიორების თამაშია, აქ ძირითადად ბიზნესმენები ხშირად ოჯახებით და საკუთარი ხარჯებით ჩამოდიან, რომლებიც ამავე დროს მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში, ეცნობიან კულტურას, ტრადიციებს. ტურნირებზე საქართველო მათთვის ეგზოტიკური ქვეყანაა, რომელსაც აღმოაჩენენ ხოლმე და მერე ისევ და ისევ სიხარულით უკან ბრუნდებიან.



მსოფლიო ნარდის ფედერაცია ასაკობრივ ბარიერს აწესებს, საქართველოს კანონმდებლობით 30 წლიდან 60 წლამდეა თამაში ნებადართული, რადგან ტურნირებზე საპრიზო თანხებია დაწესებული. წელს, ამბასადორმა ათი ათასი დოლარის პრიზი დააწესა. ჯუნიორების ტურნირიც არის, როცა უცხოეთიდან ოჯახებით მოდიან არასრულწლოვანებიც თან ჩამოჰყავთ.

დღეს ყველამ იცის ეს ტურნირი, რომელსაც „გოგის ტურნირი“ ჰქვია.

**ტურნირის წლევანდელი გამარჯვებულები ტიგრან ოჰანიანი, დიმიტრი ლესნოი, ჟურნალისტი. კვიპროსი. ქ. ლიმასოლი. რუსეთის ფედერაციის პოკერის კლუბის პრეზიდენტი.**–ნარდი მიყვარს. პრაქტიკული და ფილოსოფიური მოსაზრებებით. ეს უძველესი თამაშია და მასში საინტერესო ცხოვრებისეული ბატალიები ვითარდება–თეთრი და შავი არმია, მხედართმთავარი. ომების სტრატეგია–ეს ყველაფერი ნარდის დაფებზე დევს. ენციკლოპედიისშექმნაში ვმონაწილეობდი და იქ საუბარი წავიდა რომელი თამაშები უნდაშეგვეტანა ცნობარში და რომელი არა, ნარდის ისტორია ათას წელს ითვლის და იგი პატივისცემის ღირსია. იგი ბავშვებისთვისაც სასარგებლოა, აზროვნებას აღვივებს.

**ელენა ვოლკოვა. ჟურნალისტი. უზბეკეთი, გაზეთი „პრავდა ვასტოკა“.**–ვინაიდან ნარდის თამაში მიყვარს მეც და ჩემი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ამიტომაც მთხოვეს საქართველოს ტურნირის გაშუქება. სიამოვნებით დავთანხმდი. უკვე გავიცანი ქართველი მოთამაშეები, ერთ მათგანს ვგულშემატკივრობ, სხვათაშორის, დღეს მოიგო. ბოლომდე დავრჩები და ყველაფერს პრესაში გავაშუქებ. რა მარტო ნარდზე დავწერ, არამედ ამ შესანიშნავ ქალაქზე, ამ შესანიშნავ ქვეყანაზე.

**კახა ნაჭყებია. საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი.**–საქართველოს ნარდის ფედერაცია 1989 წელს დაარსდა, მისი პირველი პრეზიდენტი აწ გარდაცვლილი კაკო კიკალეიშვილი გახლდათ. ორგანიზაციის საქმის გამგრძელებლები ვართ. ნარდის აკვნად სპარსეთი ითვლება, თუმცა თურქეთში დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ძალიან ხშირად ამ ორი მუსულმანური ქვეყნის ბატონობის ქვეშ იყო, თამაშის ეს სახეობაც ოსმალეთიდან და სპარსეთიდან შემოვიდა.

ტურნირებზე მრავალი ქვეყნის პროფესიონალი მოთამაშეები ჩამოდიან, ქართველები მათ ტოლსაც არ ვუდებთ. პირადად მე 2009 წლის ტურნირში ორჯერ გავიმარჯვე. ასევე დავით თევდორაძე და გოჩა ჭოხონელიძე, რომლის წინააღმდეგ გერმანელი მოთამაშე გამოდიოდა, ბიზნესმენი, რომელმაც ინტერნეტით მოიგო ტურნირში მონაწილეობის უფლება. გოჩასთვის სერიოზული მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, კინაღამ მოუგო. ნოდარ გაგუა მონტე-კარლოს სენიორების ტურნირის გამარჯვებულია.

ჩვენ ჩვენი კედლებიც გვეხმარება საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირებში გამარჯვებაში. კარგია, როცა შეჯიბრებები საქართველოში ტარდება, არ გვიწევს სამგზავრო, საცხოვრებელი ხარჯების გაწევა, რასაც ჩვენი მწირი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში ვერ შევძლებდით. სურვილი და ოცნება გვაქვს, ჩვენმა ნიჭიერმა მოთამაშეებმა ლას-ვეგასსა და მონტე–კარლოში მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტურნირებში. დარწმუნებული ვართ, ისინი წარმატებას მიაღწევენ, მაგრამ ამას სერიოზული თანხები სჭირდება და მათ მოსაპოვებლად სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი.

გოგი ბუკიას სახელობის ნარდის საერთაშორისო ტურნირი თერთმეტი წლის წინ დაარსდა და მსოფლიოს ნარდის ფედერაციის ოქროს კალენდარშია შეტანილი. ჩვენ გვიხარია, რომ ყოველ წელს სულ უფრო საინტერესო და ახალი სტილის მოთამაშეები ჩამოდიან, უმრავლესობამ საქართველოს შესახებ ცოტა რამ თუ იცის, ტურნირიც პრესტიჟულია, მასპინძელი ქვეყანა შესანიშნავი, ამინდიც შესაფერისი, ახლა ჯერი ჩვენს მოთამაშეებზეა, ვნახოთ რა შედეგები დადგება.

**ესაუბრა**
**ნათია გოგიტიძე.**

# სამადლობელი



–დედიკო აქ ჩემი ბაღი იქნება? როდის შეღებავენ? ხელში ამიყვანე, ფანჯრიდან შემახედე, ლოგინები მოიტანეს? წყალი გააკეთეს? როდის შემოღობავენ ეზოს? სასრიალოს როდის ჩააბეტონებენ და ა.შ.–კითხვები არ ელეოდა ჩემს პატარას.

ტერიტორიული სიახლოვის გამო ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროცესში ბარბარე „ღრმად იყო ჩახედული“ და მრავალი სპეციფიკური სიტყვა და მისი მნიშვნელობა გაითავისა. ალბათ, ასევე მოუთმენლად ელოდნენ ახალი საბავშვო ბაღის გახსნას მისი ტოლი გოგო-ბიჭები.

...ეს დღეც დადგა. 19 სექტემბერს გაიხსნა ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღი, თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ახალი და კარგი, არსებულზე უკეთესი, ყოველთვის და ყველგან მისასალმებელია, მაგრამ საბავშვო ბაღის ეს ახალი შენობა ჰაერივით სჭირდებოდა სოფლის პატარებს და მათ აღმზრდელ–მასწავლებლებს ნორმალური მუშაობისთვის.

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში №2 საბავშვო ბაღი ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ გახსნეს. ამიერიდან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი კეთილმოწყობილ გარემოში წარიმართება.

პროექტის შესაბამისად–შეიცვალა იატაკი, კანალიზაციისა და წყლის სისტემა, ელექტროგაყვანილობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოეწყო პანდუსი, გარემონტდა სამზარეულო და სველი წერტილი, შემოიღობა, მოეწყო სათამაშო მოედანი და განახლდა ინვენტარი.

...სახეგაბრწყნებული პატარების ემოციები საოცრად შთამბეჭდავი იყო, უხაროდათ და მოსწონდათ ბაღის ახალი შენობა, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა მშობლებს ასეთი კითხვებიც დაუსვეს, ძველი ბაღი სადაა, სად წავიდა ის შენობაო, არც ახალი მასწავლებლების სიუხვე გამორჩენიათ პატარებს და ყოფილი მასწავლებლები მოიკითხეს.

თითოეულ მათგანს დიდ წარმატებებს ვუსურვებ ცხოვრების გზასავალზე. უღრუბლო ზეცა, ბედნიერი და ლამაზი დღეები არ დალეოდეთ.

მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ყველას, ვინც კი ცოტაოდენი წვლილი შეიტანა პატარებისთვის ესოდენ სასიკეთო, სამომავლო საქმის კეთებაში და იმ კომფორტისთვის, რაც ამ ბაღში პატარებს ელოდებათ.

**მშობელი**
**ჯულიეტა ლატარია.**

**ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო**
**გამომცემელი:ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.**

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში. ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.